# ხელშეკრულება
# სახელმწიფო შესყიდვების შესახებ # 283

14 ნოემბერი 2012წელი

ქ. ბოლნისი

ერთის მხრივ ბოლნისის მუნიციპალიტეტი (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი საკრებულოს თავმჯდომარის ნოდარ საბიაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს "LMC" (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით ჩახვაშვილის სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობისა და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, N SPA120025783 გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე.

## 1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ " ( შემდგომში "ხელშეკრულება") შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე. აქედან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი-შემსყიდველს.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. "დღე" , "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. "შემსყიდველი" - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. "მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. "მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. "ტექნიკური დავალება" - N SPA120025783 გამარტივებული ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

## 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 საპროექტო მომსახურება

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების აღწერა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში. დანართი №1

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 1485 (ერთიათას ოთხას ოთხმოცდახუთი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს

3.3. ფასების ცხრილი - დანართი №2.

## 4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში.

4.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, დასკვნის გაცემიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

შემსყიდველი          მიმწოდებელი

## 5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს.

5.2. ყოველ მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს აუცილებლად შემდეგი მონაცემები:

- გაწეული მომსახურების დასახელება;
- გაწეული მომსახურების მოცულობა;
- გაწეული მომსახურების ღირებულება.

5.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ნიკოლოზ გობეჯიშვილი - ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახური.

## 6. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

6.1. მიმწოდებელი მომსახურების გაწევას დაიწყებს 2012 წლის 15 ნოემბრს და დაასრულებს 2012 წლის 29 ნოემბრის ჩათვლით.

## 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) გასწიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება სათანადო ხარისხით და სრული მოცულობით იმ ვადაში რომელიც მითითებულია ხელშეკრულების მე-6 მუხლში;

ბ) უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ტექნიკურ დავალებაში დადგენილი პირობების დაცვით;

გ) იმ შემთხვევაში, თუ გაწეული მომსახურება არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი;

## 8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი.

8.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და გაწეული მომსახურების ხარისხის პროცესის კონტროლს.

8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადაუხდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

ქ. ბოლნისი

28. [illegible] 2012წ.

# პროდუქციის მიღება-ჩაბარების

# აქტი

ერთის მხრივ, „მიმღები", ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის და ზედამხედველობის სამსახურის სივრცითი ტერიტორიული მოწყობის და ურბანული დაგეგმარების განყოფილების უფროსის ნიკოლოზ გობეჯიშვილის სახით და მეორეს მხრივ, „მიმწოდებელი" შპს შპს „LMC"-ს დირექტორის დავით ჩახვაშვილის სახით ვადგენთ წინამდებარე აქტს 2012 წლის 14 ნოემბრის №283 საპროექტო მომსახურეობის შესყიდვის ხელშეკრულების შესაბამისად.

პროდუქციის დასახელება:

**სოფ. ხიდისყურში (600გრძ.მ) სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხო ტექდოკუმანტაცია.**

საპროექტო მომსახურეობის ღირებულება შეადგენს **1485** (ერთი ათას ოთხასოთხმოცდახუთი) ლარი.

„მიმღები"

ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის

ინფრასტრუქტურის და ზედამხედველობის სამსახურის სივრცითი

ტერიტორიული მოწყობის და ურბანული დაგეგმარების

განყოფილების უფროსი ნიკოლოზ გობეჯიშვილი

„მიმწოდებელი"

შპს „LMC"-ს

დირექტორი დავით ჩახვაშვილი

## ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N290
**წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია: 1 აგვისტო 2013 წ.**

### 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

„ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - „ხელშეკრულება") – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების" საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

„შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში - „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვებს.

„მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

„ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

„დღე" „კვირა" „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, თვეს, კვირას თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

### 2. ხელშეკრულების დამდები მხარეები:

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

**ერთის მხრივ, დუშეთის მუნიციპალიტეტი, რომლის რეკვიზიტებია: ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. N27, ს/კ 229324451, მომსახურე ბანკი - „ლიბერთი ბანკის" დუშეთის ფილიალი, ბ/კ LBRTGE22, ა/ა GE74LB0120137474229000 – (შემდგომში - „შემსყიდველი")**

(შემსყიდველის დასახელება და რეკვიზიტები)

**და მეორეს მხრივ, შპს „LMC", რომლის რეკვიზიტებია: ქ თბილისი, ი. აბაშიძის N50, ბინა 20, ს/კ 404919120, მომსახურე ბანკი - სს „ საქართველოს ბანკის" ცენტრალური ფილიალი, ბ/კ BAGAGE22, ა/ა GE22BG0000000317659700 - (შემდგომში - „მიმწოდებელი")**

(მიმწოდებლის დასახელება და რეკვიზიტები)

### 3. ხელშეკრულების საგანი

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: SPA130015900, CPV–713000000/71351220/71351820, საინჟინრო მომსახურებები, გეოლოგიური საკონსულტაციო მომსახურებები, წყლის საძიებო მომსახურებები, დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში: ანანური, საშაბურო, ბაგა, ძველი საკრამული, პირმისაან–ვარსიმაანთკარი, მჭადიჯვარი და ოძისი – სასმელი წყალმომარაგების სისტემებისათვის ჰიდრო–გეოლოგიური კვლევების ჩატარება, მომსახურების შესყიდვა, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით.

### 4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 გასაწევი მომსახურების ღირებულება შეადგენს: 19480 (**ცხრამეტიათასოთხასოთხმოცი) ლარს**, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

ა) გასაწევი მომსახურების ერთეულის ფასი შეადგენს:

ბ) მომსახურება გაწეული იქნება შემდეგ მისამართზე: ქ. დუშეთი რუსთაველის ქ № 27

### 5, მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების პირობების დაცვით განახორციელოს მომსახურების გაწევა. იგი პასუხისმგებელია გაწეული მომსახურების ხარისხსა და დროულობაზე.

5.2 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას მიწოდებული მომსახურების ღირებულება.

5.3 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

5.4 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებაზე.

## 6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1 საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად, საექსპერტო დასკვნასთან ერთად.

6.2 მომსახურება გაწეულად ჩაითვლება „ მიღება-ჩაბარების" აქტის საფუძველზე.

## 7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვების სამსახური.

## 8. გაწული მომსახურების ხარისხი და გარანტია

8.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება არ გამოავლენს ხარვეზებს, იქნება მომხმარებლისათვის მაღალხარისხოვნად გაწეული და ნორმატივებისა და სტანდარტების შესაბამისად შესრულებილი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორება.

## 9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

9.2 ანგარიშსწორება მოხდება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმებიდან 3 საბანკო დღის განმავლობაში.

9.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

## 10. ფასები

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების მეოთხე პუნქტში დაფიქსირებული შესასყიდი საქონლის ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს.

10.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა, ხელშეკრულების მთელი მოქმედების განმავლობაში, დასაშვებია საცალო ფასის გაზრდის ან შემცირების, ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.

10.3 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს.

## 11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარმოუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 12. უფლებების გადაცემა

12.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე, მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობა.

## 13. სუბ-კონტრაქტორები

13.1 იმ შემთხვევაში, თუ სუბ-კონტრაქტორების დადების ან სუბ-კონტრაქტორების შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

13.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბ-კონტრაქტორების ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს მისი გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში.

13.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

## 14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დამოკიდებული მხარეთა შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იყოს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ, თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავის შეხედულებისამებრ მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდამიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 15. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

15.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

15.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

16.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს, მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და

ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე.

16.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

16.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

## 17. დავების გადაწყვეტის წესი

17.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზე, რომ ყველა ღონეს იხმარენ რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

17.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 18. სხვა პირობები

18.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2013 წლის 2 სექტემბრის ჩათვლით.

18.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

**შემსყიდველი:**

დუშეთის მუნიციპალიტეტი,

საკრებულოს თავმჯდომარე: /ც. სამადაშვილი/

**მიმწოდებელი:**

შპს „LMC", დირექტორი: /დ. ჩახვაშვილი/

## მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. დუშეთი

27 აგვისტო 2013 წელი

ერთის მხრივ, დუშეთის მუნიციპალიტეტის (შემსყიდველი) საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ივერი ჯიქურაულმა და მეორეს მხრივ, შპს „LMC"-ს დირექტორმა დავით ჩახვაშვილმა შევადგინეთ ეს აქტი მასზედ, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტსა და შპს „LMC"-ს შორის 2013 წლის 1 აგვისტოს გაფორმდა ხელშეკრულება №290. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ტენდერის (SPA130015900, CPV 713000000 "საინჟინრო მომსახურებები, გეოლოგიური საკონსულტაციო მომსახურებები, წყლის საძიებო მომსახურებები, დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში: ანანური, საშაბურო, ბაგა, ძველი საკრამული, პირმისაან-ვარსიმაანთკარი, მჭადიჯვარი და ოძისი – სასმელი წყალმომარაგების სისტემებისათვის ჰიდრო-გეოლოგიური კვლევების ჩატარება".

ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 19480 (ცხრამეტი ათას ოთხასოთხმოცი) ლარს.

შპს „LMC"-მ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შეასრულა ხელშეკრულების პირობის შესაბამისად.

შპს „LMC"-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია აკმაყოფილებს სატენდერო და სახელშეკრულებო პირობებს.

აქტის სინამდვილეს ვადასტურებთ:

ჩავაბარე:

შპს „LMC"
იურიდიული მისამართი:
იაბაშიძის № 50 ბ 20
საიდენტიფიკაციო №404919120
ტელ 2141155
სს „საქართველოს ბანკი" ცენტრ. ფილიალი
ბანკის კოდი BAGAGE 22
ა/ა №GE 22 BG 0000000 317659700

დირექტორი

დ. ჩახვაშვილი

ჩავიბარე:

დუშეთის მუნიციპალიტეტი,

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

ი. ჯიქურაული

## <u>სახელმწიფო შესყიდვის შესახებ</u>
## ხელშეკრულება N0605/713

ქ. თელავი

7 ივნისი 2013 წ.

ერთის მხრივ თელავის მუნიციპალიტეტი, შემდგომში წოდებული „შემსყიდველი", წარმოდგენილი მისი გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის ალექსანდრე საჩიშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „LMC", დირექტორის დავით ჩახვაშვილის სახით, შემდგომში წოდებული „მიმწოდებელი", ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

### 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

### 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 საინჟინრო-საპროექტო მომსახურების შესყიდვა სატენდერო პირობების შესაბამისად.

2.2 სატენდერო განცხადების ნომერი: **SPA130011575**.

2.3 კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი: 71300000 - საინჟინრო მომსახურებები.

2.4 შესყიდვის საშუალება - გამარტივებული ელექტრონული ტენდერი.

2.5 დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.

### 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 63499 (სამოცდასამიათას ოთხას ოთხმოცდაცხრამეტი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც მისაწოდებელი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დასაშვებია მხოლოდ 10%-ის ოდენობით.

## 4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მომსახურების მიწოდება ტექნიკურ დოკუმენტაციაში განსაზღვრული პირობების შესაბამისად;

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

დ) მიმწოდებელმა გაწეულ მომსახურებაზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების დადგენის მიზნით, უნდა წარმოადგინოს სატენდერო პირობებით განსაზღვრული დოკუმენტაცია.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

ბ) გადაუხადოს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

4.3 შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების სატენდერო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, განახორციელოს კონტროლი.

## 5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი მომსახურების მიწოდების ნებისმიერ პერიოდში.

5.2 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, ინსპექტირების ჯგუფი, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს მიწოდებული საქონლის ტექნიკურ დოკუმენტაციასთან შესაბამისობა. მიმწოდებელი ვალდებულია 10 (ათი) დღეში გამოასწოროს წუნი, იმ შემთხვევაში თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული წუნდებული მომსახურების ან საქონლის ღირებულება.

## 6. მიღება-ჩაბარების წესი

მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი, როგორც ეტაპობრივი ისე საერთო, ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

## 7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

7.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიწოდებული მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან, არაუმეტეს 20 (ოცი) დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

7.3 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

## 8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს

გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

## 9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების მიწოდების გრაფიკის შესაბამისად ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 0.2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9.2 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 0.2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9.3 წინამდებარე ხელშეკრულების 7.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.2%-ის ოდენობით.

9.4 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

## 11. დავების გადაწყვეტა

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

## 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2013 წლის 7 აგვისტომდე.

13.2 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესრულების ვადა განისაზღვრება ინდივიდუალურად, ფასების ცხრილით განსაზღვრული მიწოდების გრაფიკის შესაბამისად.

## 14. ფორს-მაჟორი

14.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

## 15. სხვა პირობები

15.1 გამარტივებული ელექტრონული ტენდერის (**SPA130011575**) „ტექნიკური დოკუმენტაციის" და „შედეგების ველში" ატვირთული დოკუმენტები წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების დანართებს.

15.2 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ერთი - შემსყიდველს.

## 16. მხარეთა რეკვიზიტები:

| | |
|---|---|
| შემსყიდველი: | მიმწოდებელი: |
| თელავის მუნიციპალიტეტი | შპს „LMC" |
| მის: ქ. თელავი, ერეკლე II გამზ. N16 | მის: ქ. თბილისი, ი. აბაშიძის 50 ბ 20 |
| ს.კ. 231280093 | ს.კ. 404919120 |
| სს ლიბერთი ბანკი | სს საქართველოს ბანკი |
| ბანკის კოდი: LBRTGE22 | ბანკის კოდი BAGAGE22 |
| ანგ. №GE31LB0120198781126000 | ანგ.N GE22BG 0000000 317659700 |
| ტელ: 0(350)72300 | ტელ: 577515182 |
| გამგებლის მ/შ | დირექტორი |
| ალექსანდრე საჩიშვილი | დავით ჩახვაშვილი |

# მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. თელავი

10 ივლისი 2013 წელი

ერთის მხრივ, თელავის მუნიციპალიტეტი („შემდგომში „დამკვეთი"), წარმოდგენილი, თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის დავით ნაპირელის მიერ და მეორეს მხრივ, შპს „LMC" წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით ჩახვაშვილი მიერ, შემდგომში „შემსრულებელი", წინამდებარე აქტის გაფორმებით ვადასტურებთ შემდეგს:
2013 წლის 7 ივნისს მხარეებს შორის გაფორმდა ხელშეკრულება №0605/713. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: "თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების ჰიდროგეოლოგიური/საპროექტო/სახარჯთაღრიცხვო მომსახურება", (SPA130011575). (I ეტაპი)

1. სოფელ სანიორეს მაგისტრალური წყალსადენის რეაბილიტაცია;
2. სოფელ კურდღელაურის მოასფალტებული გზის რეაბილიტაცია;
3. სოფელ რუისპირის მოასფალტებული გზის რეაბილიტაცია;
4. სოფელ ფშაველის აზბოცემენტის წყალსადენის მილდენის რეაბილიტაცია;
5. სოფელ კურდღელაურის, ვარდისუბნის, გულგულას თელავის ხევის გაწმენდა და დამბების მოწყობა;
6. სოფელ გულგულას მოასფალტებული გზის რეაბილიტაცია;
7. სოფელ ნასამხრალის სარწყავ სისტემაში გამავალი ახალი სასმელი წყლის ახალი ქსელის მოწყობა;
8. სოფელ ვანთის მდ. ვანთისხევის კალაპოტის გაწმენდა;
9. სოფელ წინანდალის დოლიაურის, ქვ. ხოდაშნის, ბუშეტის და კარისხევის ხევების გაწმენდა და დამბების მოწყობა;
10. სოფელ კონდოლის მოასფალტებული გზის რეაბილიტაცია;
11. სოფელ კისისხევის წყალსადენის მაგისტრალური ქსელის რეაბილიტაცია;

შესრულებულ სამუშაოებს თან ერთვის ქართულ – გერმანული ექსპერტიზის ბიუროს მიერ შედგენილი ექსპერტიზის აქტი №136

I ეტაპის სამუშაოების ღირებულება შეადგენს 18 999 (თვრამეტი ათას ცხრაასოთხმოცდაცხრამეტი) ლარს.

2013 წლის 7 ივნისის ხელშეკრულების პირობების თანახმად "შემსრულებელმა" წარმოადგინა ხოლო "დამკვეთმა" მიიღო შესრულებული სამუშაოები. "შემსრულებლის" მიერ წარმოდგენილი პროდუქტი აკმაყოფილებს "დამკვეთის" მოთხოვნებს.

"დამკვეთი"

თელავის მუნიციპალიტეტი,
გამგებლის მოვალეობის
შემსრულებელი — დავით ნაპირელი

"შემსრულებელი"

შპს "LMC"
დირექტორი — დავით ჩახვაშვილი

# მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. თელავი 17 ივლისი 2013 წელი

ერთის მხრივ, თელავის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „დამკვეთი“), წარმოდგენილი, თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის დავით ნაპირელის მიერ და მეორეს მხრივ, შპს „LMC“ წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით ჩახვაშვილი მიერ, შემდგომში „შემსრულებელი“, წინამდებარე აქტის გაფორმებით ვადასტურებთ შემდეგს:

2013 წლის 7 ივნისს მხარეებს შორის გაფორმდა ხელშეკრულება №0605/713. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: “თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების ჰიდროგეოლოგიური/საპროექტო/სახარჯთაღრიცხვო მომსახურება”, (SPA130011575). (II ეტაპი)

1. თელავის მუნიციპალიტეტში სოფელ ყარაჯალაში მდინარე “თურდო”-ზე მარცხენა ნაპირდამცავი ქვის წყობის გაბიონის მოწყობის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა;
2. თელავის მუნიციპალიტეტში სოფელ იყალთოში მდინარე “თურდო”-ს დრენაჟზე დამბის მოწყობის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა;
3. თელავის მუნიციპალიტეტში სოფელ ართანაში არსებული ამორტიზირებული მაგისტრალური აზბოცემენტის წყალსადენის მილდენის რეაბილიტაციის პროექტი და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია;

შესრულებულ სამუშაოებს თან ერთვის ქართულ – გერმანული ექსპერტიზის ბიუროს მიერ შედგენილი ექსპერტიზის აქტი №142

II ეტაპის სამუშაოების ღირებულება შეადგენს 6560 (ექვსი ათას ხუთასსამოცი) ლარს.

2013 წლის 16 ივლისის ხელშეკრულების პირობების თანახმად “შემსრულებელმა” წარმოადგინა ხოლო “დამკვეთმა” მიიღო შესრულებული სამუშაოები. “შემსრულებლის” მიერ წარმოდგენილი პროდუქტი აკამაყოფილებს “დამკვეთის” მოთხოვნებს.

“დამკვეთი”

თელავის მუნიციპალიტეტი,
გამგებლის მოვალეობის
შემსრულებელი დავით ნაპირელი

“შემსრულებელი”

შპს “LMC”
დირექტორი დავით ჩახვაშვილი

# მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. თელავი 29 ივლისი 2013 წელი

ერთის მხრივ, თელავის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „დამკვეთი"), წარმოდგენილი, თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის შემსრულებლის გივი მეტრეველის მიერ და მეორეს მხრივ, შპს „LMC" წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით ჩახვაშვილი მიერ, შემდგომში „შემსრულებელი", წინამდებარე აქტის გაფორმებით ვადასტურებთ შემდეგს:

2013 წლის 7 ივნისს მხარეებს შორის გაფორმდა ხელშეკრულება №0605/713. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: "თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების ჰიდროგეოლოგიური/საპროექტო/სახარჯთაღრიცხვო მომსახურება". (SPA130011575). (III ეტაპი)

1. სოფელ იყალთოში "ხალოკის" სასმელი წყლის დრენაჟის რეაბილიტაცია;
2. სოფელ ბუშეტში არსებული ამორტიზირებული ჭაბურღილის რეაბილიტაცია;
3. სოფელ ართანაში ამორტიზირებული დრენაჟის რეაბილიტაცია;
4. სოფელ ფშაველში ამორტიზირებული დრენაჟის რეაბილიტაცია;
5. სოფელ შალაურში ჭაბურღილის მოწყობა;
6. სოფელ ვანთაში ამორტიზირებული წყალსადენის დრენაჟის რეაბილიტაცია;
7. სოფელ ჯუღაანში ამორტიზირებული წყალსადენის დრენაჟის რეაბილიტაცია.

შესრულებულ სამუშაოებს თან ერთვის ქართულ – გერმანული ექსპერტიზის ბიუროს მიერ შედგენილი ექსპერტიზის აქტი №143

III ეტაპის სამუშაოების ღირებულება შეადგენს 37940 (ოცდაჩვიდმეტი ათას ცხრაას ორმოცი) ლარს.

2013 წლის 7 ივნისი ხელშეკრულების პირობების თანახმად "შემსრულებელმა" წარმოადგინა ხოლო "დამკვეთმა" მიიღო შესრულებული სამუშაოები. "შემსრულებლის" მიერ წარმოდგენილი პროდუქტი აკმაყოფილებს "დამკვეთის" მოთხოვნებს.

"დამკვეთი"

თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელი გივი მეტრეველი

"შემსრულებელი"

შპს "LMC" დირექტორი დავით ჩახვაშვილი